Funded by the European Union

ქ. ქუთაისის კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების
სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის

გზამკვლევი

EU4Culture

ქუთაისი ევროპული კულტურის ქართული აკვანი

CREATIVE SOLUTION

GOETHE INSTITUT

CZECH CENTRES
ČESKÁ CENTRA

INSTITUT FRANÇAIS
Géorgie

DANSK KULTUR-INSTITUT
DANISH CULTURAL INSTITUTE

გზამკვლევი წარმოადგენს კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის განმსაზღვრელ სამუშაო დოკუმენტს.

ქ. ქუთაისის მერია, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად (კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლები, ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებები და კულტურის ორგანიზაციები, არასამთავრობო და კერძო სექტორები, მედია საშუალებები და ქუთაისის მოქალაქეები), წარმართავს დოკუმენტის შემუშავების პროცესს, რათა განავითაროს კულტურის სფერო, როგორც განუყოფელი ნაწილი ქალაქის ფართო სტრატეგიისა. კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის მომზადება ხორციელდება ევროკავშირის პროგრამის EU4Culture-ის ფარგლებში. დოკუმენტის შემუშავების პროცესს ახორციელებს და კოორდინაციას უწევს ქ. ქუთაისის მერიაში შექმნილი სტრატეგიის სამუშაო ჯგუფი, Crea﴿ve Solu﴿on-ის მხარდაჭერით.

1. პროცესი და ვადები

დოკუმენტში მითითებული ვადები და ზოგიერთი საკითხები, სტრატეგიის შემუშავების პროცესში შეიძლება განახლდეს, ან შეიცვალოს, პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე

ქმედება	თარიღი	კომენტარი
ქუთაისის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესის ოფიციალურიგახსნა	2021 წლის დეკემბერი	პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის (პლატფორმის წევრებისთვის), პარტნიორებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისთვის გაიმართება სტრატეგიის შემუშავების პროცესის ამსახველი კონფერენცია. ღონისძიებაზე განხილულ იქნება ქ. ქუთაისის კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების გზამკვლევი. აგრეთვე, ექსპერტები გააცნობენ საზოგადოებას სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიას და შემუშავების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობებს.
სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებული მიზნობრივი კვლევების განსახორციელებლად, უნივერსიტეტების და სამეცნიერო წრეების სპეციალისტებთან შეხვედრის ორგანიზება	2021 წლის დეკემბერი	შესაბამისი გამოცდილების მქონე უნივერსიტეტების და სამეცნიერო წრეების სპეციალისტებთან, გაიმართება სამუშაო შეხვედრები, სადაც დეტალურად განხილულ იქნება საჭირო კვლევების მიზნები, ამოცანები და მათთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური პრაქტიკა. განისაზღვრება ვადები და პროცესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.

კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლებთან ქვე-სექტორულ სემინარების გამართვა	2021 წლის დეკემბერი	კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების 13 ქვე-სექტორის წარმომადგენლებთან გაიმართება სამუშაო სემინარები, რომლებზეც ე.წ. „პრობლემების ხის“ მეთოდის გამოყენებით მომზადდება სექტორებში არსებული მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები.
ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების ორგანიზება	2021 წლის დეკემბერი	ქ. ქუთაისში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების კულტურაზე წვდომის ანალიზისთვის, გაიმართება 6 სამუშაო შეხვედრა: კულტურის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან; ბუნების დაცვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან; შშმ პირების პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან; გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებთან.

ქ.ქუთაისის მოქალაქეების სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულობის მიზნით, მერიის ვებგვერდზე კითხვარების გამოქვეყნება	2021 წლის დეკემბერი	კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიის განვითარებაში ქუთაისის ფართო საზოგადოების მონაწილეობისთვის, მომზადდება და ქუთაისის მერიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება სპეციალური კითხვარები.
ჩატარებული სამუშაოებიდან მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე, სტრატეგიის დოკუმენტის	2022 წლის იანვარი	ჩატარებულ აქტივობებზე შეგროვებული მონაცემების სისტემატიზაციის და ანალიზის შედეგად, სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, ექსპერტების დახმარებით, მოამზადებს სტრატეგიის დოკუმენტის პირველ, სამუშაო ვერსიას.
პირველი, სამუშაო ვერსიის მომზადება		
დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორებთან სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტების პირველი, სამუშაო ვერსიის განსახილველი შეხვედრის გამართვა	2022 წლის თებერვალი	დაინტერესებულ მხარეებს (პლატფორმის წევრებს) და პარტნიორებს განსახილველად წარედგინებათ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის პირველი, სამუშაო ვერსია. შეხვედრაზე განხილულ იქნება დაინტერესებულ მხარეების (პლატფორმის წევრების) და პარტნიორების მონაწილეობა სტრატეგიის განხორციელებაში.

საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა		დოკუმენტის განახლებული ვერსია. შეხვედრებზე გაიმართება კონსულტაციები ქვე-სექტორების წარმომადგენლების მონაწილეობაზე, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებში.
ქ. ქუთაისის ვებ-გვერდზე გამოთქმული შენიშვნების და ქვე-სექტორებთან კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებით, დოკუმენტის განახლება	2022 წლის აპრილი	სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფი განაახლებს დოკუმენტს ქ. ქუთაისის მოქალაქეების მიერ ვებ-გვერდზე გამოთქმული შენიშვნების და კულტურის ქვე-სექტორებთან გამართული კონსულტაციების ანალიზის საფუძველზე.
სტრატეგიისა და სამოქმედოგეგმის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის გადაცემა დასამტკიცებლად, ქ. ქუთაისის საკრებულოსთვის	2022 წლის მაისი	ქ. ქუთაისის საკრებულოში გაიმართება ქალაქის კულტურის და შემოქმედებითი სექტორების განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის განხილვა, შემდგომი დამტკიცების მიზნით.

2. დოკუმენტის განმარტება

კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტში აისახება ექვსწლიანი გრძელვადიანი სტრატეგია (2023-2028 წლები) და ორწლიანი, მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 წლები). კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიის დოკუმენტი უნდა განახლდეს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, იმ დროისთვის გამოვლენილი გამოწვევების ან შესაძლებლობების გათვალისწინებით და ახალი სამოქმედო გეგმის საჭიროების შესაბამისად.

3. ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ქ.ქუთაისის მერია

- ✓ წარმართავს კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს, რომელიც ინტეგრირებული იქნება ქალაქის საერთო სტრატეგიაში;
- ✓ უზრუნველყოფს მერიის სამსახურების პროცესში მონაწილეობას, ქ. ქუთაისის საკრებულოს და სხვა ადგილობრივი, რეგიონალური თუ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს აწვდის პროცესის შესახებ ინფორმაციას;
- ✓ სტრატეგიის შემუშავების პროცესის შესახებ, ქალაქის მოსახლეებისთვის, უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას;
- ✓ უზრუნველყოფს პროცესში კულტურის სფეროს სხვადასხვა დაწესებულებების აქტიურ მონაწილეობას;
- ✓ აწარმოებს მონიტორინგს პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით და პასუხისმგებელია დამტკიცებული დოკუმენტის განხორციელებაზე.

ქ. ქუთაისის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფი :

- ✓ უზრუნველყოფს სტრატეგიის გზამკვლევში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;
- ✓ პასუხისმგებელია ღონისძიებებზე დამსწრე საზოგადოებასთან წინასწარ კომუნიკაციაზე;
- ✓ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების პლატფორმის შეუფერხებელ ფუნქციონირებას;
- ✓ ახორციელებს სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოვლენილი მონაცემების შეგროვებას და მათ სისტემატიზაციას;
- ✓ უზრუნველყოფს ღონისძიებების გასამართად შესაბამისი იურიდიული და ფინანსური საკითხების მოგვარებას.
- ✓ ფიზიკურად ღონისძიების გამართვის შემთხვევაში, ახორციელებს ლოგისტიკური საკითხების მოგვარებას და შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფას.

Crea◆ve Solu◆on (თანა-აპლიკანტი) :

- ✓ უზრუნველყოფს კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას;
- ✓ კონსულტირებას უწევს ქ. ქუთაისის მერიას სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების დაგეგმვასა და მისი სტრუქტურის გამართვაში;
- ✓ ხელს უწყობს ქ. ქუთაისის მერიასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას, ეხმარება დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში.

დაინტერესებული მხარეების პლატფორმის წევრები :

- ✓ აქტიურად მონაწილეობენ სტრატეგიის შემუშავების პროცესის გზამკვლევში აღწერილ ღონისძიებებში;
- ✓ ხელს უწყობენ პროცესის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ქალაქში და მის ფარგლებს გარეთ;
- ✓ ეხმარებიან სტრატეგიის სამუშაო ჯგუფს, სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებული საჭირო მონაცემების შეგროვებაში.

4. დოკუმენტის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

4.1. დოკუმენტის მიზნები

- ➢ კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების შესაძლებლობების წარმოჩენა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში;
- ➢ ქალაქის კულტურის პოლიტიკის რეფორმირებისთვის, გრძელვადიანი ხედვის განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის მოსახლეობას თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი სრულფასოვნად გამოავლინონ;
- ➢ ქალაქის მოსახლეობის ერთი მიზნით გაერთიანება რომელშიც ყველას სურვილი და მისწრაფება არის გაერთიანებული და, შესაბამისად, ყველა მზად არის მის გაცოცხლებაში აუცილებელი ძალისხმევის გასაწევად.

შემოქმედებითი ინდუსტრიები

შემოქმედებითი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

ჰაბების ინკუბატორების და კლასტერების განვითარება

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორთაშორისი მუშაობის და ინოვაციური მეთოდების გამოყენების გზით, ქუთაისის სხვა სექტორებთან თანამშრომლობის მხარდაჭერა.

ხელოვნება და შემოქმედება

შესაძლებლობების ამაღლება მონაწილეობისთვის

მიმზიდველობის ამაღლება

აუცილებელი ინფრასტრუქტურა

განათლება

მმართველობა

გამჭირვალობა

რეგულაცია

დაფინანსება

ხელფასები და

სოციალური გარანტიები

კულტურული მემკვიდრეობა

მიმზიდველობის ამაღლება

ინფრასტრუქტურის განახლება

მონაწილეობის ამაღლება, მათ შორის იმ ჯგუფებისა, რომლებიც ტრადიციულად არ განიხილებოდნენ, როგორც სამიზნე აუდიტორია

Funded by
the European Union

EU4Culture

Kutaisi Georgian cradle of European culture

ქუთაისი ევროპული კულტურის ქართული აკვანი

CREATIVE

SOUTH

GOETHE INSTITUT

CZECH CENTRES
ČESKÁ CENTRA

INSTITUT FRANÇAIS
Géorgie

DANSK KULTUR-INSTITUT
DANISH CULTURAL INSTITUTE